



ქართული პერი

ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირის ორგანო

№ 1 (3), დეკემბერი, 1990 წელი.

რედაქციისათვის

სახელწოდებაში „ქართული პერი“ ჩვენი მრწამსია გაცხადებული. ჩვენი მიზანი ქართველი ერის სამსახურია. ამასთანავე, გაზეთის სახელწოდებას ჩვენთვის სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. შემთხვევითი არაა, რომ ჩვენ მას ქართველ მკითხველს მესამე ნომრით წარუდგინეთ. 1953 წელს მადრიდში ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სახელით გაზეთი „ქართული პერი“ პირველი და მეორე ნომრები გამოიცა. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო დიდი ქართველი მამულიერი და საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. ბატონ ირაკლის არც გაზეთის გამოცემის გაგრძელება დასცალდა და არც მასში გაცხადებული ამბების ქართველობისათვის მინოდება. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის გეგმები აუნდუნელ ოცნებად რჩებოდა...

დღეს აღდგა დიდ წინაპართა მიერ დაარსებული ორგანიზაცია. მათივე ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს გაზეთსაც „ქართული პერი“ ვუნოდეთ.


იმედია, გულისყურით მოეკიდებით მეორედ დაბადებულ გაზეთს. „ქართული პერი“ თავისუფალია ყოველგვარი ცენზურისაგან. იგი მხოლოდ ღვთისა და ერის ერთგულია. ჩვენი გაზეთის გამოსვლა ქართველობის საკუთარ გაზეთზე, მოზრუნების კიდევ ერთი საწინდარია!

ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელია. 1942 წელს ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა მამულიერებმა იგი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარეს. 1946 წელს კი ბატონი ირაკლის სამეფო ღირსება რომანოვთა საიმპერატორო სახლის წარმომადგენელმა დაადასტურა. ბაგრატიონ-მუხრანელთა უფროსი შტო უფლებრივად ევროპის მონარქიულ სახლებს გაუთანაბრდა.

დღეს ესპანეთში მყოფი ბაგრატიონ-მუხრანელები ესპანელ ბურჰონებთან, ინგლისელ უინძორებთან და სამეფოს ღირსების მქონე სხვა სახლებთან ნათესაურ კავშირში არიან.

ბატონი ირაკლი 1977 წელს გარდაიცვალა.

გთავაზობთ მისი მემკვიდრის გიორგი ვანჩასის გამოსათხოვარ წერილს. იგი საფრანგეთში გამოშვებული უფრანდილან „ბედი ქართლისადანა“ გადმოხვედლი.



ირაკლი ბაგრატიონი

თავად ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი დაიბადა თბილისში 21 მარტს 1909 წელს. იგი პირდაპირი შთამომავალი იყო მუხრან ბატონის უფროსი შტოს, და ამ გვარის მეთაური გახდა მისი მამის გარდაცვალების შემდეგ. მამამისი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი თბილისის გუბერნიის თავადსაბურთის მარშალი იყო. მას ცოლად ჰყავდა ელენე ზლოტნისკა, რომლის დედაც ქსანელ ბაგრატიონთა გვარს ეკუთვნოდა.

ირაკლი ბატონიშვილი, თავისი რანგის შესაფერისად, მკვიდრო ურთიერთობასა და მიწერ მოწერაში იყო იმ წრის საზოგადოების მრავალ პიროვნებასთან, რომელთაც „ამა ქვეყნისა ძლიერთა“ შორის მიიჩნევენ.

ირაკლი ბატონიშვილი გულდასმით სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და კულტურის საკითხებს. მას იშვიათად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა თავისი მეცადინეობით შედგენილი და ამით იგი ერთგულად განაგრძობდა თავის სახელოვან წინაპართა კულტურულ ტრადიციას — ტრადიციას ბაგრატიონთა, რომელთა თვალდადებაც და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ისტორიის უკანასკნელი დროებითი საუკუნე.

დეკლარაცია ქართულ

ტრადიციონალისტთა კავშირიდან

1. ახათიანი აკაკი თორნიკეს ძე, 1953 წ., ფილოლოგი;
2. გიორგობიანი ბიძინა გოდერძის ძე, 1968 წ.
3. ბარათაშვილი პაატა როსტომის ძე, 1968 წ., მხახიობი;
4. ფხალაძე ვიქტორ კალისტრატეს ძე, 1950 წ., არქეოლოგი;
5. გოგაძე დავით გურამის ძე, 1968 წ., ისტორიკოსი.
6. კილახონია ნიკოლოზ არჩილის ძე, 1957 წ., ეკონომისტ-გეოგრაფი;
7. სანებლიძე ნიკოლოზ ჭემის ძე, 1958 წ., ფილოლოგი;
8. მაყაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე, 1955 წ., არქიტექტორი;
9. კორძაძე გაიოზ ბენოს ძე, 1988 წ., ფილოლოგი;
10. კიტოვანი თენგივ კალისტრატეს ძე, 1988 წ., მხატვარი;
11. მელაძე ალბერტ შალვას ძე, 1926 წ., ფილოსოფოსი;
12. ხანიკიძე გუბაზ ლევანის ძე, 1967 წ., ისტორიკოსი;
13. კვეტენაძე ავთანდილ აღექსანდრეს ძე, 1947 წ., ინჟინერი;
14. ჯავახია ბეჟან აპოლონის ძე 1957 წ., ისტორიკოსი;
15. ჯაფარიძე ბადრი გივის ძე, 1960 წ.; ფსიქოლოგი;
16. ჩხეიძე ირაკლი ოთარის ძე, 1954 წ., ინჟინერ-ელექტრიკოსი;
17. კუბლაშვილი თენგივ პიმენის ძე, 1941 წ., ფსიქოლოგი;
18. ხონელიძე გიორგი იოსების ძე, 1962 წ., ინჟინერ-მშენებელი, (უპარტიო);
19. ბოკუჩავა ზვიადი მიხეილის ძე, 1959 წ., ექიმი (უპარტიო);
20. ბარათაშვილი იოსებ ზურაბის ძე, 1960 წ., ინჟინერ-გეოლოგი, (უპარტიო);

ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირის დეკლარაცია

„უძველესი ტომი ქართული, ამ ტომმა იცოდა რკინის შეწვევის საიდუმლო... მანვე იცოდა მტკიცე ჭეშმარიტება...“
 „...ეს ცეცხლი ქართულია და გარდა ქართველობისა მას ვერ იცეკვებს ვერავინ, რახსა არ ეყოფა.“ ახე იტყუოდა გრავოლ რობაქიძე. (გრ. რობაქიძე, გველის პერანკი).
 „ხალხთა მისწრაფება თავისუფლებასა, შემოქმედებით, დამოუკიდებელი არსებობისაკენ ერთგული კოლექტივების იღვმალი ერთობის წაადგინა და იგია ერთგობა ის ძაფი, რომლის გაწყვეტა მოხვედრებითა ხოლმე... უორდანიას მოაგრობა...ოდნავადაც არ იზიარებდა სოფლის მეურნეობის პირობებს, მოშავად მოთხოვნილებებს და ისეთი უადრებად დიფერენცირებული ერის ხასიათს, როგორიც ქართველები არიან.“ — წერდა ზურაბ ავალიშვილი. (ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში).
 ეს ორი პიროვნება ცეცხლოვანი გულისა და ცივი გონების შეერთებაა. ორთავეს ცხოვრების მიზანი საქართველოს სამსახური, მისი ბედნიერება იყო. მათთან იდგნენ და ერთობას ქმნიდნენ შალვა ამირეჯიბი, გიორგი კვინიტაძე, მიხაკო წერეთელი, დავით ვანჩაძე, სპირიდონ კეღია, რევაზ გაბაშვილი და სხვანი. ყოველი მათგანის სახელი სამშობლოს სამსახურს, ეროვნული იდეისათვის, გამარჯვებისათვის ბრძოლას უკავშირდება. მათთანვე იყო საქართველოს სამეფო სახლის მეთაური ბატონიშვილი ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი. ისინი 1942 წელს ბერლინში შეიკრიბნენ და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი დააარსეს. მათ საქართველოს სამეფოს აღდგენა სურდათ, ტახტზე კი, სა-

ერთო შეთანხმებით. ბაგრატიონთა ტახტის კანონიერი მემკვიდრე ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი უნდა ასულიყო. თავის მომავალი ტრადიციონალისტთა კავშირმა გერმანიის გამარჯვების დაუყოვნებელი შემდეგ იგი განხორციელებულა, გერმანიის იმედზე ყოფნა ფუჭი აღმოჩნდა. პიტლერიზმის ანტიუმბნური არსიც კავშირის წევრთათვის მიუღებელი იყო. მიუხედავად იმეამინდელი პოლიტიკური მარცხისა, რაც მძიმე საგარეო ვითარებით იყო გამოწვეული, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მკვდრად ნაშობად ვერ ჩაიფიცებდა. მისი სახით ქართული სახელმწიფოს აღდგენისა და ქართული ცივილიზაციის მონაპოვართა აღორძინების იდეა ცოცხლობდა.
 დღევანდელითა თავად სემს ამ კავშირის აღდგენის საკითხს. ახლოსაა საქართველოს განთავისუფლების ეამი, მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქართველობა ბედი სულ მალე მოსკოვში აღარ გადაწყდება, არაა საქარისი. ვინ გაუძღვება ერს და რა იდეალებით იხელმძღვანელებს იგი, როგორი იქნება მომავალი, დამოუკიდებელი საქართველო — ამ კითხვები, რომელთა პასუხის მოძიებაზე ზრუნვა დღესვეა საჭირო.
 გადაწყვეტეთ რა სასიკვდილო მამულიშვილების მიერ დაარსებული კავშირის აღდგენა, მიზნად, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გარდა, მომავალი, თავისუფალი საქართველოს მოწყობაზე ზრუნვაც დავისახეთ. ეამთა სიამევე სრული სახით არ შემოგვიჩინა ქ. ტ. კ.-ს პროგრამა და წესდება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მას ქართული მონარქიის აღდგენა სურდა და ეს ფაქტი მრავლის შეტყვევია. ამასთანავე ვიცნობთ რა გრიგოლ

რობაქიძის, ზურაბ ავალიშვილის და სხვათა მხატვრულ-ფილოსოფიურ თუ სამეცნიერო მემკვიდრეობას. თამამად ვცხადებით არის მათი მრწამსის ერთგულებად.
 ჩვენი მიზანია ეროვნული სახელმწიფოს შენებისას ქართული ცივილიზაციის, ქართული ტრადიციის გათვალისწინება. რამეთუ ერის ცხოვრება, ეროვნული სახელმწიფო განსაღი. იმ შემთხვევაში იქნება, თუ ბალავრად მრავალსაუკუნეობრივი გამოცდილება და ეროვნული ხასიათი დაელება. ქართველი ერი ერთგული იქნება განუმეორებელი სამყაროში, ისევე როგორც ფრანგი ან ესტონელი. იგი სულეფი, კულტურულ-ტრადიციული და ბიოლოგიური ასპექტების მთლიანობას წარმოადგენს. მისი გაქრობა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი სამყაროს ტრავმა იქნებოდა. რადგან ქართველ ერს საკაცობრიო ცივილიზაციის დიდ საგანძურში თავისი განუმეორებელი წვლილი შექმნდა, შეაქვს და უნდა შეიტანოს, არად.
 სახელმწიფოთა ეროვნული ღირსების დამცე ი და ერის განვითარებისათვის საჭირო ძირითადი ინსტიტუტები. თითქმის ორასი წელია, რაც ქართველი ერი მოკლებულია ამ ინსტიტუტს. 1918-21 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მხოლოდ ხანმოკლე გაეღვება იყო XVIII საუკუნის ბოლოდან ჩამოწოლილ წყვედიანში, რომლიდანაც გამოსავალი გზის ძიება ქართველ ერს დღემდე, არ შეუწყვეტია, დღეს უკვე ხელ-ნელა იკვებება მომავალი საქართველოს მშენებელი.

გ. ვანჩაძე

ბედი ქართლისადანა

გვესაუბრებიან დეპუტატები

აკაკი ფორნიკის ძე ასათიანი, დაიბადა 1958 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში, მოსახალხურის ოჯახში.

1971 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1977 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად, მთარგმნელად, რედაქტორად. ბოლო დროს მუშაობდა საქინფორმში — ხაინფორმაციის ხავერდო „საქართველოში“ მთარგმნელად.

აქტიურად მონაწილეობს ეროვნული მოძრაობის ყველა ღონისძიებასა და აქციაში, არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე და „მრგვალი მაგილის“ წევრი. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი-შვილი.

ბატონო აკაკი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი და გავითი „ქართველი ერი“ ვიღოვართ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში მიღწეულ წარმატებას, როგორ შეეფერება ახალ თანამდებობას?

— ძალიან ძნელად ვეგუბები. ასეთი ნახტომის გაკეთება ძალიან მოულოდნელი და უცნაურიც კი იყო ჩემთვის. იმიტომ, რომ წინა ხელმძღვანელობა რაღაც ეტაპებს გადაიარა ჩვენი კომპარტიის, მერე აპარატში თანამშრომლების უმეტესობის თანამდებობიდან იწყებდნენ და თანდათან ვეუბნებოდნენ ამ მდგომარეობას. იმ შავ მანქანას, თვევს წარმოიღვინეთ, მიხვრამ-მოხვრამ კი ბატონაკურის ჰქონდა... მაგრამ, რა ვიცი, თუკი ჩემს ქვეყანას სჭირდება... მე არასოდეს მქონია მონაწილეობა მოწვევების გრძობა „უფროსობის“ მიმართ. ყველასთან ერთად ვიყავი თავისიანი ვიყავი, იმიტომ ჩემთვის პრობლემა არ არის აღამიანებთან ურთიერთობა. პასუხისმგებლობა თავისთავად დიდია...

— თანამდებობასთან დაკავშირებით რაღაც რაღაცეებიც კი ცოტა შეხებულა, მაგრამ ხალხი უდიდესი სიმბათით არის ხალხყოფილი ჩვენს მიმართ და ეს მიადვილებს მუშაობას... ჩემთვის ძალიან რთულია, მაგალითად, ტელეფონებში გარკვევა, რომელი ტელეფონი ვისია, სად და საიდან რეკავს. პო, მართლა, მანქანა ძალიან კარგია, თან საკორტო, იმიტომ რომ უამრავი, თავზე საყრდელი საკეპა მოსაგვარებელი. სხვათაშორის, ძალიან დიდი სურვილი მაქვს ფეხით ვიარო. უკვე მომეხატრა ქუჩაში გაეულა, ანდა მალაზიში წიგნის საყიდლად შევლა...

— ზოგჯერ ხომ არ გინდებოდათ



აკაკი ასათიანი: „ისინი არც ისეთი ჭკვიანები არიან, ჭკვიან ქართველს რომ აჯობონ!“

აკაკი — ვაი თუ თავი ვერ გავართვა?

— არა, არ მიჩნდება, რაც მართალია, მართალია; ვისაც როგორ უნდა ისე მიიღოს. მე ერთადერთი შიში მაქვს, ვაი თუ ჩემი ხალხის ნდობა ვერ გავიმართლო, რაღაც ობიექტური მიზეზების გამო, თორემ მე თავად დეპუტატი ვარ იმ საქმისთვისაც, რომელსაც ვემსახურები და იმ კაცისთვისაც, ვინც მას ხელმძღვანელობს. ჩემთვის ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა, ჩემი კავშირი, ზვიად გამსახურდია, იდეა და მაღალი ღმერთი არის ის გამი, ვის წინაშეც პასუხისმგებელი ვარ.

— იდეის სამსახური ახხენეთ, შეიძლება ბევრიხათვის გაუგებარი იყოს, როგორ არის მონარქისტ რესპუბლიკის მმართველობის ორგანოები...

— ჩვერ ერთი, რესპუბლიკის მმართველობის ორგანოში მე არა ვარ. უზენაესი საბჭო არის საკანონმდებლო ორგანო. ეს რომ ყოფილიყო პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, მე უარს ვიტყვოდი. რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ მე ასეთი წყობილების მომხრე ვარ. არის პარლამენტი, რომელიც ნებისმიერ რეგიონში პარლამენტია, არის მისი თავმჯდომარე და მე, მისი პირველი მოადგილე ვარ. მონარქისტი შეიძლება იყოს პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი... სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენ შეგნებულად გადავდგით ეს ნაბიჯი.

იმის გამო, რომ ასეთი პრეცედენტი მომხდარიყო, არც ერთ სოციალისტურ (საბედნიეროდ, შეიძლება უკვე ვთქვათ, რომ საქართველო ყოფილი სოციალისტური ქვეყანაა და ეს ერთი დიდი ბედნიერებაა) თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მონარქიები არ არის, იქ მონარქისტები პარლამენტის წევრები არ არიან. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო, რამდენიმე კაცი მანც გამხდარიყო უზენაესი საბჭოს წევრი.

— რითა თქვენთვის ძვირფასი მონარქიული წყობილება?

— ჩემთვის მონარქიული წყობა არის ჩემი სამშობლო, მისი სახელმწიფოებრივი მოწყობა. იგი ხომ განსაკუთრებული იმითაც, რომ ეს არის უდიდესი ტრადიციების მქონე სახელმწიფო. მე შეამყვება მეფეთა ერთგულება, მეფეთა მსახურება, რადგან ისინი ჩემი სამშობლოს სიმბოლო და დროშები იყვნენ ყოველთვის. შეამყვება, რომ ჩვენში არის რაღაც რაინდული, ავთანდილისეული...

— ეს სამშობლოდან გამომდინარე, მაგრამ ზოგადად თუ ვიტყვით...

— ეს არის, ჩემი, აზრით, იდეალური წყობილება სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით. ეს არის აშშ-ის შეხამებული წარსული და მომავალი, ის ბალავარი, რაც სტაბილურობის გარანტიას იძლევა. როგორც სულიერი მოღვაწი წინამძღოლი სჭირდება

ერს — პატრიარქი, ასევე სჭირდება საერო წინამძღოლი — მონარქი, ეს ლევის მიერა დაწესებული, ლევის განგებია. მე მორწმუნე კაცი ვარ.

— თვით მონარქიული სახელმწიფოებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენთვის მისაღებია რომელიმე არსებული ნამუში თუ ქართული მონარქია თავისებური უნდა იყოს?

— უსათუოდ თავისებური. ტრადიციონალიზმი ყოველ განვითარებულ ქვეყანაში წარმოდგენილია, მაგრამ ყველგან სპეციფური, რადგან ნაციონალიზმს გულისხმობს. მაგრამ ჩვენ კონსტიტუციური მონარქის გამოცდილება არა გვაქვს. თუმცა ჩანასახები იყო თამარის დროს და უფრო სერიოზული ხასიათი ერეკლე მეორის დროს მიიღო. დარბაზი ხომ პრაქტიკულად რეგულარულად იწვეოდა. და მას ანგარიშს

ტყვი. მე ბედნიერება მინდებოდა ერთგულმა მოძრაობამ არჩევნებში — ჩემი ხალხი ვნახე და გავიცინი. ეს არის უნიკური, უკვირის, უშესანიშნავისი ერი. ყველაფერი მოგვარდება. ქართველი ინდივიდუალისტია, მასში ძლიერია პიროვნული საწყისი, ასე დევილად არაის დაჩაგრვინება. ლევის წყალობით, თუკი დემოკრატიული სტრუქტურა იქნება და 37 წელივით არ გავგანადგურებენ. თუმცა ისინიც არ ტყდებოდნენ.

— თქვენი სამუშაო დღის გრაფიკი თუ გამოიკვეთა?

— ჩვერ ვერა. გრაფიკით მუშაობა შეუძლებელია. ეს არის მშვილობიანი რეგულაცია აქედან გამოდინარე ყველა შედეგით. სხვათა შორის, უფრო მეტად დაგდება ყველაფერი, ვიდრე მეგობრა. ყოველ შემთხვევაში, ის ენთუზიაზმი ჩვერ არ დაგვიტოვებია და ალბათ არც „მოგვასვენებენ“.

— ბატონო აკაკი, ძლიერია აღამიანი, ვინაც საკუთარი თავის დაცვა შეუძლია. ვახსენებთ იხეთი შემთხვევა, რომ საკუთარ თავზე აღამად გავცივით?

— ამის მეტი რა ყოფილა. ყველაზე სასაცილო მაშინ ვიყავი, როცა მიტინგებზე გამოვიდი და ხალხს ვეუბნებოდი, დაგვამშენი, საკმელი ჩვენ არ გვაქვს, სასმელი და ჩასაცმელი. ახლა ჩემი გარეგნობით თუ იმსჯელებს აღამიანი...

სულ ახალ ამბავსაც გავიხსენებ. მოსკოვში რომ ვიყავი, რაღაც საუბარი იყო და ერთმა თქვა, აი, აქ არის რესპუბლიკის ხელმძღვანელი და გადაწყვეტს ამ საკითხს. პოდა, ვიდეო და ველოდებოდი, როდის მოვიდოდა რესპუბლიკის ხელმძღვანელი იმ საკითხს გადასაწყვეტად. უზერხობა რომ შეიქმნა, ვიციოხე, რომელი ხელმძღვანელი-მეთქი, თქვენო, — მიმასულეს. ხო, მერე, რა თქმა უნდა, შევიფერე...

— მინც ცოტა ოპტიმისტურ ნოტზე რომ დავამთავროთ საუბარი, რა მოგველის მომავალი?

— მოსკოვში ძალიან დიდი იმედები გამიჩნდა. გაცილებით მაღლა და მშვიდობიანად მოხდება ის, რაზეც ჩვენ ვოცნებობთ. თუმცა ჩვენი ერი მზად არის გაიჭირვოს კიდევ. ჩვენი სახით ხალხმა ხმა მისცა თავისუფლებას. ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ. კი, არიან იქაც ჰკვიანები — მაგალითად, გორბაჩოვი, იეკორენაძე, ჩვენი თანამემამულე, იეკორენაძე, კვიციანი ხალხია, მაგრამ იქ სხვა თამაში მიდის, ურთულესი თამაში. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ ჩვენ ახლა ჰკუთით არ ვაჯობეთ, არაფრის ღირსნი არ ვყოფილავთ. ისინი არც ისეთი ჰკვიანები არიან, კვიციან ქართველს რომ აჯობონ.

ესაუბრა მანა ფურცელაძე

გატიანე

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აღდგენის იდეა 1990 წლის ივლისის მიწურულს დაიბადა.

1990 წლის 25 ივლისს საქართველოს მონარქისტული (კონსერვატორული) პარტიის წევრთა ნაწილმა და რამდენიმე თანამგრობობმა პირმა გადაწყვიტა 1942 წელს შექმნილი ამ კავშირის აღდგენა, რის შესახებაც ეცნობა საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, მის უმაღლესობას ბატონიშვილ გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელს.

5 აგვისტოს ჩატარდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აღმდგენელი სხდომა, სადაც მიღებული იქნა წესდება და საპროგრამო დეკლარაცია.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მონაწილეობდა ლენინგრადში გამართულ აღამიანის უფლებათა დაცვის მე-3 საერთაშორისო კონფერენციაში.

გვილოცავს საქართველოს საეფო ტახტის მემკვიდრე

ATT: EXCMO. SR. PRESIDENTE DE GEORGIA DON ZWIAD GAMSAKHURDIA

MARBELLA, 13 DE NOVIEMBRE 1990

QUERIDO SENOR PRESIDENTE:

DESEO FELICITARLE EN MI PROPIO NOMBRE Y EN EL DE MI FAMILIA POR EL ROTUNDO EXITO OBTENIDO EN LAS RECIENTES ELECCIONES CELEBRADAS EN GEORGIA, POR LA "MESA REDONDA GEORGIA LIBRE" Y SU POSTERIOR NOMBRAMIENTO COMO PRESIDENTE DE LA NACION.

EN ESTOS MOMENTOS HISTORICOS Y CRUCIALES PARA RECUPERAR LA PLENA INDEPENDENCIA Y SOBERANIA DE GEORGIA, RUEGO A NUESTRO SENOR PARA QUE LE GUIE, SENOR PRESIDENTE, Y A TODO EL PUEBLO GEORGIANO, POR EL MAS CERTERO, RAPIDO, PACIFICO Y CORDIAL CAMINO HACIA EL FUTURO DE LIBERTAD, PAZ Y BIENESTAR QUE EL PUEBLO GEORGIANO DESEA Y QUE LE CORRESPONDE. APROVECHO LA OCASION, SR. PRESIDENTE, PARA SALUDARLE MUY CORDIALMENTE Y TRANSMITIRLE TODOS MIS DESEOS DE MAYOR EXITO EN ESTA TAREA HISTORICA QUE HA ASUMIDO.

GIORGUI BAGRATIONI

ATT: SR. D. AKAKI ASATIANI "ALIANZA TRADICIONALISTAS GEORGIANOS"

MARBELLA, 13 DE NOVIEMBRE 1990

QUERIDO SENOR ASATIANI: EN NOMBRE DE MI FAMILIA Y EN EL MIO PROPIO, DESEAMOS FELICITARLE SINCERAMENTE, COMO PRESIDENTE DE LA ALIANZA DE LOS TRADICIONALISTAS GEORGIANO, POR EL ROTUNDO EXITO OBTENIDO EN LAS RECIENTES ELECCIONES CELEBRADAS EN GEORGIA POR LA "MESA REDONDA GEORGIA LIBRE", DE LA QUE SON INTEGRANTES.

LE RUEGO TENGA LA AMABILIDAD DE TRANSMITIR PERSONALMENTE LA MISMA AL SENOR GAMSAKHURDIA, COMO LIDER DE LA MESA REDONDA.

DESEANDOLE A TODOS USTEDES EL MAYOR EXITO EN EL HISTORICO PROCESO DE RECUPERACION DE LA SOBERANIA NACIONAL, APROVECHO LA OCASION PARA SALUDARLE MUY CORDIALMENTE.

S.A.R. PRINCIPE JORGE DE BAGRATION DE MUKHRANI. # 212184 SLAVA SJ 79551 HOAN E

მის აღმატებულებას — საქართველოს პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიას

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით მინდა მოგილოცოთ დიდი გამარჯვება, რომელსაც არჩევნებზე მიაღწია ბლოკმა „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველო“, აგრეთვე თქვენი არჩევა ერის პრეზიდენტად.

ამ ისტორიულ და საკვანძო მომენტში, როცა საქართველო ცდილობს მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, გისურვებთ, რომ თქვენი, ბატონო პრეზიდენტო, და მთელი ქართველი ხალხის გზა იყოს უმოკლესი, მშვიდობიანი და სწორუბოვარი, გზა მომავლისაკენ, რომელიც იქნება თავისუფლების, კეთილდღეობის, მშვიდობის მომავალი, რასაც ასე ძალიან ესწრაფვის ქართველი ხალხი.

ბატონო პრეზიდენტო, ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გულითადად მოგესალმეთ და გავლოცოთ ჩემი გულწრფელი სურვილები უდიდესი წარმატებისა იმ ისტორიული მისიის აღსრულებაში, რომელიც თქვენ დაგვესრულებთ.

გიორგი ბაგრატიონი
მარაბელა, 13 ნოემბერი.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს

ძვირფასო ბატონო ასათიანო!

ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით მინდა გულწრფელად მოგილოცოთ არჩევნებში გამარჯვება ბლოკისა „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველო“, რომლის წევრიც არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი თქვენი თავმჯდომარეობით. ძალიან გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულითადი მილოცვა ბატონ ზვიად გამსახურდიას, რომელიც თქვენი ბლოკის ლიდერი ბრძანდება.

ვუსურვებ ყველა თქვენთაგანს უდიდეს წარმატებას ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვების გზაზე.

უფლისწული ხორხე ბაგრატიონ-მუხრანელი
მარაბელა, 15 ნოემბერი.

გაბრატიონ-მუხრანელები —საქართველოს საეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრეები

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრეებად ესაზღვრება მცხოვრები ბაგრატიონ-მუხრანელები მთავრად. აღსანიშნავია, რომ ბაგრატიონთა გვარის ამ შტოს წარმომადგენელი არაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი საქართველოს სამეფოს სახანის მეთაურად ევროპის მონარქთულმა ოჯახებმა აღიარებ.

ბაგრატიონთა მუხრანის შტოს სამეფო უფლებების აღიარებას ლეგიტიმური ანუ კანონიერი საფუძველი აქვს. ესაზღვრება მცხოვრები ბაგრატიონების უფლება ევროპის მონარქთულ სახანოებში დასახლების და არკთვე ქართული სამეფოსათვის დამახასიათებელ ტახტის ფლობის მემკვიდრეობითობის წესს ეფუძნება. ამ წესის დაცვის გარეშე მონარქთული სახელმწიფოს განსაკუთრებული ბუნება აზრს კარგავს. ლეგიტიმისმის გარეშე ტახტის მფლობელი, მონარქი, საზოგადოების ცალკეულ წევრთა ინტერესებსა და ვნებების მსხვერპლი ხდება. იკარგება სამეფო გვარის უწყვეტობის სიმბოლური მნიშვნელობა. წყდება თაობების, ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლის დამაკავშირებელი ძაფი. სამეფო ტახტი, პრინციპის სავარძლის დაჩაღი, დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებსათვის სათამაშოდ იქცევა.

მუხრანელ ბაგრატიონთა შტო ერთიანი საქართველოს უკანასკ-

ნელ მემკვიდრეობის ნათესაობით უახლოესია.

ალექსანდრე I დიდის შემდეგ, რომელიც 1412-1442 წლებში მეფობდა, ტახტზე მისი უფროსი ვაჟი, ვახტანგი ავიდა. ვახტანგმა მხოლოდ ოთხი წელი იმეფა. 1448 წელს საქართველოს სამეფოს საჩუქრით დაიკავა ალექსანდრე დიდის მესამე შვილმა გიორგი VIII-მ გამოაცხადა. გიორგის მძიმე ხვედრი ხვდა წილად. იგი ქართული სამეფოს დაშლის მომხრე შეიქმნა. მას არც ტუპეობა ახდენია. სიცოცხლის ბოლოს იგი კვლავ გამეფდა — ამჟამად, ვითარცა საქართველოს ერთ-ერთი მხარის, კახეთის მეფე. ერთიანმა საქართველომ არსებობა შეწყვიტა. გიორგის ჩამოშორება კახეთის ბაგრატიონებად იქცნენ.

ამ საქვეყნო უხედურების ფონზე ერთი გარემოება აღსანიშნავია. მემკვიდრეობითობის არსებული წესით, გიორგი VIII-ს საქართველოს სამეფოს ტახტი არც ეკუთვნოდა. მას ჰყავდა უფროსი ძმა დემეტრე, რომელსაც ვახტანგის შემდგომ უნდა ემეფა...

სამართლიანობა ნაწილობრივ 1478 წელს აღდგა. თბილისში მეფედ ვახტანგის უფროსი შვილი, კონსტანტინე II იკურთხა. მაგრამ შინაშლილობამ, ქართველებისათვის ოდიოზანტე თანმდევა გაუტანლობამ, კონსტანტინეს ქვეყნის გაერთიანების საშუალება არ მისცა. ალექსანდრე დიდის კა-

ნონიერი მემკვიდრეები ქართლის ფარგლებში დამკვიდრდნენ. დროთა განმავლობაში ქართლის ბაგრატიონთა შტო ორად გაიყო. კონსტანტინე უფროსი ძე, დავითი მამის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა. უმცროსი ბაგრატი კი მუხრანის ბატონი გახდა. ეს შტო 1668 წელს, როსტომ მეფის უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ მოისპო. როსტომის შემდეგ, მემკვიდრეობითობის წესის თანახმად, ტახტზე მუხრანის ბატონი, ტახტის უახლოესი მემკვიდრე ვახტანგ V, შამაგაზად წოდებული, ავიდა. მუხრანის კი მის უმცროსი ძმის კონსტანტინეს ერგო. სწორედ ამ კონსტანტინეს პირდაპირი შთამომავლები არიან დღეს ესაზღვრები მცხოვრები ბაგრატიონ-მუხრანელები.

დღესათვის ცნობილია, რომ შამაგაზაანთა შტო XX საუკუნის დასაწყისში ამოწყდა. ამ დროიდან საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრეები კონსტანტინეს ჩამოშორდნენ. მათი სამეფო უფლება 1948 წელს მოსკოვის სამეფო ხალხმაც აღიარა.

აღსანიშნავია, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრეები, მუხრანელები არსებულ უფროს შტოს არაა, არამედ არ უმეფია. დემეტრე ქანს, გამოსწორებული უფლებების უსამართლობა და ბაგრატიონთა ამ შტოს თავის ისტორიულ მისია შეეხებოდა.

მისია კი უდიდესია — საპატრიარქო დამოუკიდებლობის აღდგენა, სამეფო ტახტის აღდგენა, რომელიც მთავრობის მიერ მოვალეობაა ერის წინაშე და არა უფლება.

ბაგრატიონ-მუხრანელები დღეს არსებული შტოს უფროსი წარმომადგენელი ირაკლი ბაგრატიონის ძე, ბატონიშვილი გიორგი V. მას სამი შვილი — ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს...

პარტიული პრობლემა, პერსპექტივა:

1990 წლის ოქტომბერში თბილისში გაიმართა კიდევ ერთი საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში თავი მოიყარეს ხელოვნების მსახურებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. ყრილობას ესწრებოდნენ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი აკაკი ასათიანი და გამგეობის წევრი ბატონი ირაკლი ჩხეიძე. ყრილობის ერთ-ერთი დღევანდელი იყო ჩვენი კავშირის თავისუფალი წევრი, ბატონი ლერი სიხარულიძე.

შესრულდა „დიდება“. დამსწრე საზოგადოება დალოცა ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარმა მამა ელიზბარამ.

ქართველ ქორეოგრაფთა დამფუძნებელი ყრილობა გახსნა ბატონმა თენგიზ სუხიშვილმა.

წლების მანძილზე ქართული ცეკვის ოსტატები მუსიკალური ან თეატრალური საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ და როგორც ყრილობაზე გამართული დისკუსიის დროს, გარკვეულ დისკუსიისათვის განიცდიდნენ. გასაკვირია? — ალბათ დაუფრებელიც, თუ მხოლოდ სუბიშვილ-რამიშვილის ანსამბლის ბრწყინვალე წარსულს გაეხსენებთ.

მაგრამ ამ ანსამბლის წევრთა გარდა, ქართულ ცეკვას 318 მათი ადამიანი ემსახურება. მათი სოციალური პირობები, მრავალი კლექტივის მატერიალური ბაზა და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების საერთო დონე დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. როგორც ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, აქაც არანაკლები პრობლემები დაგვიკოცდა. დავიმოწმებ ყრილობის დღევანდებ:

ქალბატონი ლილი გვარამაძე: „დღეს არ ჩანს ზეიმური დავლური, ცეკვა ქართული თუ სრულდება, მარტო მასიური ფორმით. ლაბინდება ქართული ხელოვნება. „მითიურისა“ და „ოსურის“ ილეთებს არავითარი ფოლკლორული ფესვი არ გააჩნია.“

ბატონი რევაზ ქარუმიძე (ფ. ხაჭავიძის): „ჩვენი არა გვაქვს სამეფო პირობები, მტრულად გვაქცევინა, ცეკვის მითვისებას გვაბრუნებენ.“

ბატონი ლერი სიხარულიძე: „საკიროა განვილილი გზის გააზრება.

ბა. მკვეთრად უნდა გავიხსნათ, რა არის ქართული და რა არაა ქართული. არ შეიძლება ყველას ისე ეცვას, როგორც მოცულობა. ყოველ ცეკვას თავისი ტახსაცემი შეჭმერის. იმერულს მეგრული ყაბალახით ვერ იცეკვებ.“

როგორც ვხედავთ, პრობლემა მრავალმხრივია და ძალზე ბევრი. ბატონმა რომან კოხონელიძემ თავის საპროგრამო გამოსვლაში დასახა ქართული ცეკვის ტრადიციების აღორძინების ამოცანები მან აღნიშნა, რომ ცეკვას უძელესი განათლების მქონე პროფესიონალი სწირდება, ამიტომ აუცილებელია შეიქმნას ქართული კულტურის ინსტიტუტი, სადაც გაიხსნება ქორეოგრაფიის ფაკულტეტი ან განყოფილება.

ყველაზე მთავარი, რაც კავშირსა და მთელ ქართველ ერს ეკუთვნის — ქართული ცეკვის სოციალური დანიშნულების აღდგენაა. ბატონმა აკაკი ასათიანმა აღნიშნა, რომ ყველაზე მთავარია უფროსი საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, უნდა შეიქმნას დამატებითი ქართული ხალხის თავისი ცეკვა. იგი მხოლოდ უცხოეთში სარეკლამო როლია. იგი უნდა დამორჩეს იმავე წილად, სადაც იშვიათია.

დღეს ქართველი და ქართული ცეკვა გაუცხოებულია ერთმანეთთან. არა თუ ქალაქში, სოფლებშიც იშვიათად იცეკვენ ქართულს. არადა იგი ოდითგანვე ერის სიხარულისა და მწუხარების გამოხატულება, მისი ცხოვრების ნაწილი იყო. დღეს კი მხოლოდ სცენასა და შეგორაზე იქნებიან მოიტანა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ქართული ცეკვილიზაცია სასცენოდ და სამუზეუმოდ გადაიქცევა... ქართველ ქორეოგრაფთა კავშირი დაარსდა. მან ხელი უნდა შეუწყოს ქართული ცეკვის მემკვიდრულ შესწავლას, დიაცას მისი სიწმინდე, გაუმჯობესოს კლექტივის მატერიალური ბაზა, მოცეკვავთა სოციალური მდგომარეობა.

კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ბატონი თენგიზ სუხიშვილი. გამართლებს ქართველ ქორეოგრაფთა კავშირის თავის დანიშნულებას, თუ ახალ ბიუროკრატიულ რგოლად იქცევა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მარტო თათელაძე.

მატიანე

25 ნოემბერს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ინიციატივით, აღინიშნა საქართველოს 1801 წლის ანექსიის დღე — შეიკრიბნენ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები. აკურთხეს წმინდა გიორგის დროშა, რომელიც საქართველოს უკვდავებისა და დღითიკურთხეული მონარქის სიმბოლოა — ნარეულაწე აფრიალდა.

ქართველ ტრადიციონალისტებმა საარჩევნო ბლოკ „მრგვალი ზაგრა“ — თავისუფალი საქართველოს“ შემადგენლობაში მონაწილეობა მიიღეს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში და პარლამენტში გაიყვანეს 20 დეპუტატი;

25 ნოემბერს ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ზუგდიდის ფილიალმა მოაწყო აქცია — რუხის ციხეზე აღიმართა წმინდა გიორგის დროშა.

აქცია ესწრებოდნენ ბატონი

აკაკი ასათიანი და ქ. ტ. კის წევრები.

27 ნოემბერს ქ. ტ. კის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის განცხადება ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან გაერთიანების შესახებ. გაერთიანების საფუძველია ნოეტიკური ნიშნები და მონარქიზმი.

შეიქმნა ამ მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტის მომზადებელი კომისია.

პარტიული ტრადიციონალისტთა კავშირის დეკლარაცია

(დახარული)

სახელმწიფო ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. მისი ფორმები მრავალგვარია. მყარია სახელმწიფო, თუ იგი ეროვნული მფლობელობაა ამოზრდილი-ამოშენებული. დიქტატურა თუ დემოკრატია ორთავე უხედურების მომტანი და უღელმურია, თუ ერის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მის ეთნოფსიქოლოგიასთან არაა შეფარდებული, თუ ის უცხო სამყაროდან არის გადმოხრილი. ამაში მდგომარეობს ჩვენი განსაკუთრებული ტრადიციონალისტური მიდგომა ქართული სახელმწიფოს შენების სამედიოვილო საქმისადმი.

ჩვენ, ქ. ტ. კის წევრები ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ქართველი ერისათვის ყველაზე მისაღებ და მარადიულ სახელმწიფოებრივ ფორმად მიგვაჩნია კონსტიტუციური ანუ პარლამენტალური მონარქია. იგი ის ერთადერთი ფორმაა, რომელიც შეძლებისდაგვარად სრულად დააკმაყოფილებს ქართველი ერის უღელმურად ინდივიდუალურ ბუნებას და მის კოლექტივიზმის იმ აუცილებელ მინიმუმსაც შეუზავებს, რომლის გარეშე საზოგადოებრივი თანაცხოვრება შეუძლებელია. ამის მავალით ქართველი ერის ათასწლოვანი ისტორიული გამოცდილებაა. მხოლოდ ლეიტენტურული სამეფო ოჯახისა ის სიმაღლე, რომელთან მიმართებაშიც ნებისმიერი პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის ამბიციებს დაოკება ელის. ისევე, როგორც ერის სულიერი მოძღვარი უწმინდესი და უწეტარესია. საერო საქმეთა წარმმართველი მეფე უნდა იყოს. ამის აღიარება საზოგადოებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიანიჭებს სტაბილურობას. ამასთანავე გასათვალისწინებელია გლობალური პროცესებიც. დღევანდელ სამყაროში თავს იჩენს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის ტენდენცია. ჩვენ მას მოზადებული უნდა შევეგებოთ, რადგან ინტეგრაცია თუნდაც არასაბჭოთაო არამოლატანებით პირველ რიგში მცირერიცხოვან ერთათვის არის საშიში. ერს, რომელსაც თავისი ლეიტენტურული მონარქია ჰყავს, ნაკლებად ემუქრება თავისთავადობის განუყოფლობის დაკარგვის საფრთხე. როგორც მამა, ოჯახის უფროსი ინსტიტუტად უზრუნველ თავისი ოჯახის სიწმინდეზე, ასევე მეფე, ერის სახე და ხატი, ერის ერთიანობის სიმბოლო, მხოლოდ ამ ერის თავისთავადობის შენარჩუნებით არსებობს და მის ბუნებრივ დამცველად გვევლინება.

ტრადიციონალისტური მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობისადმი მხოლოდ მონარქიის მოთხოვნით არ ამოწურება. იმისათვის, რომ მონარქია ეროვნული სხეულის კანონმდებელი დაკვირვებულ იყოს, საჭიროა საზოგადოებრივი მოწყობის ყველა

სფეროს ღრმა ანალიზი და სწორად წარმართვა. ამ საქმეშიც მთავარი საყრდენი ეროვნული ხასიათისა და ტრადიციების გათვალისწინება უნდა იყოს. განსხვავებული მიდგომა კანონმდებლობისადმი სოციალური საკითხებისადმი, ეკონომიკისა და სწავლა-განათლებისადმი სწორედ ერის ინტერესებისათვის აღმოჩნდება საზიანო. ერის ცხოვრება ან მახინჯ პლაგიატს დაემსგავსება, ანდაც უმართავი პროცესებით იქნება აღნიშნული.

სახელმწიფოს სიმტკიცისა და საზოგადოების სტაბილურობის საფუძველი კარგი კანონმდებლობაა, მაგრამ საქართველოსათვის თუნდაც აყვავებული სახელმწიფოების კანონთა ბრმა გადმოღება დაუშვებელია. კანონმდებლობა ყველაზე მეტად მოითხოვს ერის ეთნოფსიქოლოგიის გათვალისწინებას, ტრადიციონალისტურ მიდგომას. ქართული სამართლის კოდექსს ქართული კაცის ღირსების გრძნობა მისი ზნე-ჩვეულებანი ტრადიციები უნდა ედგოს საფუძვლად. ამის გარეშე კანონმდებლობაც და სამართალდაცვითი ორგანოები ერისათვის უცხო და მიუღებელი იქნება. ყოველ ერს საკუთარი უფლებრივი გრძნობა გააჩნია და თუ მის მიქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაშინ კანონიერებისათვის ბრძოლა კანონთან ბრძოლად გარდაიქმნება.

ეროვნული კანონმდებლობის შექმნა პროფესიონალი იურისტთა, სოციოლოგთა, ისტორიკოსთა და ფსიქოლოგთა საქმეა. ქ. ტ. კის რთულ საქმეში საკუთარი წვლილის შეტანასა და, რაც მთავარია, ასეთი სამუშაოს აუცილებლობის მტკიცებებს ისახავს მიზნად.

დღეს კაცობრიობა ეკოლოგიურ პრობლემებზეა მიუყრდნობილი. ეკოლოგია მხოლოდ ბუნების დაცვად არ გაიგება, მისი მიზანი ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების პარამონიაა. ამის მისაღწევად კი კვლავაც წარსულის წილში შექმნილი ეროვნული ცივილიზაციის ღირებულებები გასათვალისწინებელია. დღეს დასავლეთში მისაღები გახდა მცნება „ცხოვრების ხარისხი“ იგი ადამიანთა სისხლსაცვე ცხოვრებას, ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან პარამონიულ დამოკიდებულებას, ცხოვრების გამარავალფეროვნებას, გულსიმბობს. იგი უპირისპირდება ცნებას „ცხოვრების დონე“. რომელიც ძირითად სიკეთედ მხოლოდ კომფორტსა და მატერიალური დოვლათის რაოდენობრივ ზრდას სახავს. ცნებათა და ღირებულებათა მავალი ცვლილება სწორედ ეკოლოგიურ მოძრაობას დაუკავშირდა. საქართველოში, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, ტრადიციული ღირებულებებისადმი დაბრუნება უნდა გულისხმობდეს, როგორც სოციალური ისე ეკონომიკური სფეროებში. მახვილ დაკვირვებას და აღორძინებას საჭიროებენ

ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები. მთელი სოციალური პოლიტიკა სწორედ ერის წარსულის გათვალისწინებით უნდა წარმართოს. მომავალი საქართველო ეკონომიურად ძლიერი უნდა იყოს, მაგრამ ეს ეროვნული ცივილიზაციის უგულვებელყოფის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. აუცილებელია, როგორც საკუთარების, ტრადიციული ფორმის, აგრეთვე მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენა-გაძლიერება. ტრადიციონალისტური მიდგომა ეკონომიკისადმი დიაცვის ერს გადაგვარებისაგან. ძლიერი ეკონომიკა არის არა მიზანი, არამედ საშუალება ეროვნული სახელმწიფოს სიჯანსაღისა და მისი აღმავლობა ყველაფრის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

მომავალი თაობის აღზრდასა და სწავლა-განათლებას უდიდესი როლი ენიჭება. იგი წარსულის გამოცდილებას ერის ეთნოფსიქოლოგიის გათვალისწინებას უნდა დაეფუძნოს. ერის სულიერი გაჯანსაღება მისი კულტურის გაცნობიერებისა და გათავისების საფუძველზე უნდა მოხდეს.

ამგვარად, ქ. ტ. კის აცხადებს, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროს მოწყობა ეროვნული ცივილიზაციის ღირებულებების უნდა დაეფუძნოს. როგორც წმინდა ილია მართლმწერდა, — „წარსული მკვიდრი ხაშირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს ხამი ხხვადახხვა ხანა, ხხვადახხვა ეპოქისა ცხოვრებისა ისეა ეროვნულად გადაბმული, რომ ერთი უმეორედ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია.“

ყოველივე ეს არ ნიშნავს წარსულში არსებული ნებისმიერი საზოგადოებრივი ინსტიტუტის პირდაპირ გადმოღებას თანამედროვე ვითარებისა და დღევანდელი გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე.

ქ. ტ. კის-სათვის მონარქიული საქართველო ის იდეალია, რომლის მიღწევასაც იგი მთელი ძალტობით ეცდება. მაგრამ ეს ჩვენი საბოლოო მიზანია, რომელიც მთელი ქართველი ერის ნებით თუ მიიღწევა. მანამდე ქ. ტ. კის-ს აუცილებლად მიანიშნა ეროვნული საზოგადოებრივი პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა ამ საქმეში ტრადიციონალისტური მიდგომის დამკვიდრება. ქ. ტ. კის იბრძვის საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის, რადგან დამოუკიდებლობის გარეშე ერს არ ძალუძს საკუთარი მომავლის მოწყობა.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

4 აგვისტო, 1990 წ.

ეს დოკუმენტი მიღებულია ქ. ტ. კის-ს აღმდგენელ სხდომაზე და ნათლად გამოხატავს ქართველი ტრადიციონალისტების იდეურ მრწამსს.

კავთხველს ალბათ ახსომს 16 ნოემბერს სსრ კავშირის შტაბლენის საბჭოს სესიონზე საპარტიულ მოსამართლეს, გაბონ აპაკი სხა- თანხის გაგონვლა, რომელიც მან კანადურ მიმდინარე ეროვნული მოძრაობა ასახა „ხალხის რჩეულებმა“ სიტყვა გააუხვედინეს...


მიიწვევს რა ხალხს კანადური?

ბანადამ, როგორც ერთიანმა ფედერაციულმა სახელმწიფომ შეიძლება არსებობა შეწყვიტოს. კვებეკის პარტიის ლიდერი პარიზო ინგლისურ-ფრანგული ფედერაციონის კანადურ ვარიანტს საჭიროებო ხელშეკრულებას ადარებს და აცხადებს, რომ შესაძლებელია განქორწინება, მაგრამ ყოფილი ოჯახის წევრები კეთილმეზობლად დარჩებიან. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა იყოფა და ამის მიზეზი ერთადერთია: ერების მარადიული სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ. კანადის მაგალითი თვალნათლივ აჩვენებს, რომ ნაციონალიზმს ცალკეულ პიროვნებათა ამბიციები და ხალხის ეკონომიური გაჭირვება კი არა, ეროვნული იდეის მარადიულობა განაპირობებს. ეკონომიური პრობლემები ეროვნული მოძრაობის ხელშეწყობი ფაქტორია მხოლოდ. თუმცა უძრავისა თავიდან დაიწყეთ.

კვებეკი კანადის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროვინციაა. მისი ტერიტორია უფრო ვრცელია, ვიდრე საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი ერთად აღებული. კვებეკის მოსახლეობის 80%-ზე მეტს თავისთავად კულტურის მქონე ფრანკო-კანადელები ანუ ფრანკოფონები შეადგენენ. ისინი საკუთარ თავს „კვებეკუს“ ეძახიან. კვებეკი, რომლის რიცხვი დღეს შედის მილიონს აღწევს; კანადამ XVII-XVIII საუკუნეებში ჩასახლებული 10 ათასი ფრანგი კოლონისტის შთამომავალია. იმ დროს კანადის „ახალი საფრანგეთი“ ერქვა. დღეს კვებეკი ერთი, რადგან საკუთარი კულტურული იერი, ისტორია და რაც მთავარია, ეროვნული თვითშეგნება გაინახა. სეციონისტები აღნიშნავენ, რომ ფრანკო-კანადელები უფრო განსხვავდებიან საკუთრივ ფრანგებისაგან, ვიდრე ანგლო-კანადელები ინგლისელებისაგან. თვალყურსდამსაღი უნდა იყოს ისტორიული ძეგლების სიუხვე. ჩრდილო ამერიკისათვის უჩვეულო კულტურული იერსახე კვებეკის პროვინციის დანარჩენი კანადისაგან განსხვავებს. კვებეკელები სათუთად იხანავენ ძველ ალათ-წესებს. მათი ქალაქები და სოფლები არქიტექტურითა და დეკორაციებით ძველ საფრანგეთს მოგონებს მხახველს.

